

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/220

ქ. ბათუმი

10 დეკემბერი, 2021 წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის უფლებამოსიერებულ მსმენელთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მომზადების პროგრამის „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის MES 4210001254482 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N01-02/198 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N01-02/190 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის N01-02/212 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა გასაუბრების ადგილის, თარიღის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 07 დეკემბრის N 01-02/218 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მ.შ.) 2021 წლის 10 დეკემბრის N1346207 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:


1. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის უფლებამოსიერებულმა მსმენელებმა 2021 წლის 11 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით, 11:00-დან 16:00 საათამდე, ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმის გახსნის მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის

ადმინისტრაციაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N306) წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია

- ა) განცხადება (თუ აპლიკანტი ქმედუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია, განცხადება უნდა წარმოადგინოს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ქმედუნარო/შეზღუდულქმედუნარიანი პირის შემთხვევაში ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილებული პირის დაბადების მოწმობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);
- გ) სრული ზოგადი ან/და უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- დ) ორი ფოტოსურათი 3X4-ზე;
- ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).

- 2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს მსმენელთა რეგისტრაცია, ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „განცხადებები“) განთავსებული განცხადების ტექსტის მომზადება და აპლიკანტთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
- 3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე („პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“).
- 4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირამე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
- 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაში